

ლითონის ნაწარმისა გატანა რეალიზაციის ტენდერი.

(ფოთი, საქართველო)

1 ტენდერის გრაფიკი

1.1 ზოგადი მიმოხილვა

სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ გიწვევთ ლითონის კონსტრუქციის, ლითონის მილის, ლითონის მოთუთიებული მილი, ლითონის დამჭიმის, ჯაჭვის, კუთხოვანა ლითონკონსტრუქციის, ჯართის (შავი ლითონის, ალუმინის და სპილენძის) ნავსადგურის სარეჟიმო და საკონტეინერო ტერიტორიიდან მისი გატანა-რეალიზაციის ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

ტენდერში მონაწილეობის ინსტრუქცია არ წარმოადგენს კონტრაქტის ნაწილს.

1.2 ტენდერის ჩატარების განრიგი

დასახელება	თარიღი	პასუხისმგებელი მხარე
1. ტენდერის გამოცხადების თარიღი	13/11/2019	გამყიდველი
წინა-სატენდერო შეხვედრების და 2. ტერიტორიის დათვალიერება	14-20/11/2019	გამყიდველი/ტენდერის მონაწილე
ტენდერთან/გამყიდვის საგანთან დაკავშირებული საბოლოო შეკითხვების 3. წარდგენის ბოლო ვადა	21/11/2019	ტენდერის მონაწილე
სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო 4. ვადა	22/11/2019 (15:00 GMT+4)	ტენდერის მონაწილე
5. წინადადებების შეფასება	25-26/11/2019	გამყიდველი
6. მოთხოვნა საბოლოო წინადადებების წარმოდგენის თაობაზე (მე-2 რაუნდი)/ელ. აუქციონი	27-28/12/2019 (ან უფრო ადრე)	
7. ხელშეკრულების გაფორმების სავარაუდო თარიღი	შემდგომის შეთანხმების საგანი	გამყიდველი/ტენდერის მონაწილე

შენიშვნა: 1) ტერიტორიის დათვალიერების მიზნით ვიზიტის შემთხვევაში გამყიდველის საკონტაქტო პირის უნდა აცნობოთ აღნიშნულის თაობაზე ერთი დღით ადრე და ელ. ფოსტის საშუალებით გაუგზავნოთ ვიზიტორების პირადობის ასლები.

ტერიტორიაზე ვიზიტის დროს ვიზიტორები აღჭურვილი უნდა იყვნენ შემდეგი უსაფრთხოების დაცვის საშუალებებით: ამრეკლი ჟილეტი, ჩაფხუტი, უსაფრთხოების ფეხსაცმელი.